*რუსუდან თაყაიშვილი*
*მუსიკის ექსპერტ-კონსულტანტი*
*სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი*

## მასტერკლასი მუსიკაში:
## „ზოგადი სამუსიკო განათლების თანამედროვე ტენდენციები“

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დაგეგმვის ხელშეწყობა/მხარდაჭერა მათივე საჭიროებებზე (როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული) დაყრდნობით.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება, რომელთა გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს დაწყებითი და საბაზო საფეხურის მუსიკის მასწავლებლებისათვის.

**მასტერკლასის შედეგად:**

- მასწავლებლები გაეცნობიან მუსიკის სწავლების არსებულ ტენდენციებს სხვადასხვა სასწავლო გეგმისა და სისტემის მაგალითზე
- წარუძღვებიან  და მონაწილეობას მიიღებენ მუსიკალურ-შემოქმედებით პროცესში
- ჩაატარებენ და შეაფასებენ აქტივობებს მრავალგვარი ინტელექტის თეორიის, სწავლის სტილის, ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

**მასტერკლასის მიზნობრივი ჯგუფი:** მუსიკის  მოქმედი მასწავლებელი

**მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა:** 25 მსმენელი

**ხანგრძლივობა:** 4 საათი